DISRUPTION NETWORK LAB

**12-13 დეკემბერი, 2020 წ · კონფერენცია · ბერლინი & თბილისი**

# სიძულვილის ენის შემცველი ნიუსები vs. სიტყვის თავისუფლება

## პოლარიზაცია და პლურალიზმი ქართულ მედია სივრცეში

**კონფერენცია: 2020 წლის 12** დეკემბერი, 11:30-17:30. პირდაპირი ჩართვა 1-ლი სტუდიიდან, ქუნსტკარტიერ ბესანიენ, ბერლინი და თბილისი, საქართველო.

**ვორკშოპი: 2020 წლის 13 დეკემბერი,** 11:00 – 14:00, პირდაპირი ჩართვა STATE სტუდიიდან, ბერლინი და თბილისი, საქართველო.

**დეტალები და რეგისტრაცია:**
https:// disruptionlab.org/hate-news-vs-free-speech
**კონტაქტი:** press@disruptionlab.org

**მომხსენებლები: ნატა ძველიშვილი** (გამომცემლობა ,,ინდიგო"-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველო), **თამარ კინწურაშვილი** (,,მედიის განვითარების ფონდის" აღმასრულებელი დირექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველო), **ნინო გვილია** (პროექტის ასისტენტი, სოციალური მედიის მონიტორინგი ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება", საქართველო), **მიხეილ ბენიძე** (ინფორმაციის უსაფრთხოებისა და სანდოობის პროგრამის ხელმძღვანელი, Zinc Network), **რაფაელ გოლდცვაიგი** (კვლევითი კოორდინატორი, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი - DRI, გერმანია), **ეკა როსტომაშვილი** (ადვოკატირებისა და კამპანიების კოორდინატორი საერთაშორისო გამჭვირვალობა, საქართველო/გერმანია), **გიორგი თაბაგარი** (სამოქალაქო აქტივისტი, ,,თბილისი პრაიდის" დირექტორი, საქართველო), **ნინო დანელია** (ჟურნალისტიკისა და მედია კვლევების ხელმძღვანელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ,,კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის" დამფუძნებელი, ,,მოძრაობა ქართველი ქალების" დამფუძნებელი, საქართველო), **ჟოზეფინ ბალონი** (Hate Aid-ის იურიდიული ხელმძღვანელი), **ვარუნ ბაშიაკარლა** (მონაცემთა მკვლევარი, Tactical Tech's Data & Politics Project, გერმანია), **ალისტარ ალექსანდერი** (მკვლევარი, ტრენერი და მრჩეველი, IE/გერმანია), **მაია ტალახაძე** (თანადამფუძნებელი, რეგიონული დემოკრატიული ჰაბი - კავკასია, საქართველო), **ტატიანა ბაზიჩელი** (დამფუძნებელი დირექტორი, Disruption Network Lab, იტალია/საქართველო), **ლიკე პლოეგერი** (დირექტორი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, Disruption Network Lab, ნიდერლანდები/გერმანია).

**სიძულვილის ენის შემცველი ნიუსები vs. სიტყვის თავისუფლება**

**ღონისძიების ფარგლებში ჟურნალისტები, აქტივისტები და მედია ექსპერტები საქართველოდან და ბერლინიდან განიხილავენ ცრუ ინფორმაციის, სიძულვილის ენისა და სოციალური ქსელის საშუალებით მანუპულირების წინააღმდეგ ბრძოლისა და სიტყვის თავისუფლების გაძლიერების სტრატეგიებს.**

2020 წლის პროექტის ფარგლებში გერმანული და ქართული მხარეები Disruption Network Lab და ა(ა)იპ რეგიონული დემოკრატიული ჰაბი - კავკასია ახორციელებენ გაცვლით პროგრამას: "სიძულვილის ენის შემცველი ნიუსები vs. სიტყვის თავისუფლება: პოლარიზაცია და პლურალიზმი ქართულ მედია სივრცეში". საქართველოში მედია მკვეთრად პოლარიზებულია. მოსახლეობის უმრავლესობა ინფორმაციის მიღების ძირითად საშუალებად კვლავ ტრადიციულ მედიას ასახელებს, რომელზეც აშკარა პოლიტიკური გავლენები შეიმჩნევა. მიუხედავად ამისა, სოციალური მედიის ეპოქაში დაჩქარდა საინფორმაციო ციკლი, რამაც შეასუსტა ტრადიციული მედიის კონტროლი დღის წესრიგის შედგენაზე. პლურალისტური მედიის წარმოშობის მიუხედავად, პოლიტიკური პოლარიზაცია საზოგადოებას ორ ბანაკად ყოფს, რასაც თავის მხრივ გავლენა აქვს სოციალურ მედიაზე, რომელიც ბოლო დროს დღის წესრიგის განსაზღვრის მცდელობაში შეინიშნება. ხშირია შემთხვევები, როცა სოციალური მედია საზოგადოებაზე მანიპულირებისა და გავლენის მოხდენის მიზნით ცრუ და ყალბი ინფორმაციის გავრცელების საშუალებად გამოიყენება. ხშირად მაღალრეიტინგული მედია საშუალებების მხრიდანაც შეიმჩნევა მედია ეთიკის უგულებელყოფის ფაქტები. არც თუ ისე იშვიათია სიძულვილის ენის შემცველი ნიუსების გავრცელება როგორც ტრადიციული, ისე არატრადიციული მედია საშუალებებით. ეს კიდევ უფრო შესამჩნევია საარჩევნო პერიოდში, რომელიც რეგულარულად, თითქმის ყოველ წელს ტარდება.

რა იწვევს პოლარიზებულ პლურალიზმს? საიდან მოდის პრობლემა და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მედია გახდეს უფრო მეტად პოპულარული და ეთიკური? რა რეგულირებისა და თვითრეგულირების მექანიზმები არსებობს დეზინფორმაციის, სიძულვილის ენისა და სოციალური ქსელით მანიპულირების თავიდან ასაცილებლად? ყველა დასმულ შეკითხვას უპასუხებენ მედია ექსპერტები საქართველოდან და გერმანიიდან. ვორქშოპში - ,,შეთქმულების თეორიის ანატომია", კი, რომელიც დახურავს პროექტს, მონაწილეები თბილისიდან და ბერლინიდან შეისწავლიან და დეტალურად განიხილავენ მსოფლიოში ცნობილ და ნაკლებადცნობილ შეთქმულების თეორიის სხვადასხვა მაგალითებს, თუ რა განსაზღვრავს მათ ეფექტურობას, რა განაპირობებს მათ ასეთ სწრაფ გავრცელებას და რა სტრატეგიების საშუალებით არის შესაძლებელი მათი გავლენის შემცირება.

FUNDED BY: Federal Foreign Office, CIVIL SOCIETY COOPERATION
PROJECT BY: DISRUPTION NETWORK LAB, RDH Caucasus
PARTNER VENUES: Kunstraum Kreuzberg/Bethanien, STATE
IN COLLABORATION WITH: TRANSPARENCY INTERNATIONAL the global coalition against corruption
MEDIA PARTNERS: taz, EXBERLINER, IL MITTE, furtherfield
TECHNOLOGY PARTNERS: BOILING HEAD MEDIA, GEIER-TRONIC VIDEOTECHNIK